# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 88 ნიუ იორკი, აგვისტო 1971 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, AUGUST 1971


ნიუ იორკი, აგვისტო, 1971 წ.

## აგვისტოს აჯანყება

არსებობს დებულება, რომელიც ყოველი ერის ისტორიას, მისი ბრძოლის ისტორიად სახავს. საკმარისია თვალი გადავავლოთ საქართველოს მრავალსაუკუნოვან თავგადასავალს, რათა შთაბეჭდილება შეგვექმნეს, თითქოს, ეს დებულება განსაკუთრებით ჩვენი ერისათვის არის გამოკვეთილი. მართლაც თითებზე ჩამოსათვლელია დღეს ისეთი ერები, რომლებსაც თავიანთ ასეთსავე ხანგრძლივ ცხოვრების მანძილზე საქართველოს ოდენა წამება, ტანჯვა-ვაება, აოხრება-აწიოკება გაეცადოთ, მისებრ უზომო სისხლი ეღვაროთ, ყოველი რჯულის მტერ-ორგულებისაგან თავის დასაღწევ ბრძოლებში; მაგრამ, მაინც დედამიწის პირიდან არ გამქრალიყვნენ, მათი ერთ დროინდელი არსებობა არქეოლოგების კვლევა-ძიების საგნათ არ გამხდარიყო და ქართველი ერის მსგავსი საარაკო ნებიყოფა და უშრეტი გამძლეობა გამოეჩინათ, თავიანთი ფიზიკური არსებობა, ტერიტორია, ენა, კულტურა და საერთოდ ყველა ის მიუცილებელი ნიშნები, რომლებიც ერს აეროვნებენ, უკლებლად შეენახოთ და თანამედროვე ცივილიზებულ ეპოქამდე მოეტანოთ.

ჩვენი ერის სამი ათას წლოვან მანძილზე ურიცხვია მაგალითები, როცა მას უკიდურეს სასოწარკვეთის განცდებში სასწორზე დაუდვია თავისი ყოფნა-არყოფნა; უთვალავია საბედისწერო თარიღები, როცა მოთმინებიდან გამოსულს, მას გაბედულად ხმალი უშიშვლია თავისი მჩაგვრელების შესამუსრავად. ხშირად მიღწევებით, ზოგჯერ მარცხითაც, მაგრამ ბეჯითი შეგნებით, რომ თავისუფლება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება, ბრძოლა კი მსხვერპლს მოითხოვს, — თანაც მძიმეს, უზომოს, მაგრამ აუცილებელს და, მითვე მარადისობით გამართლებულს.

ჩვენი ყოველ წლიურად აგვისტოს აჯანყების აღნიშვნა, მამულის ერთ-ერთ ასეთ თავდადების უმწუხრეს თარიღთაგანის მოგონებას ემსახურება, სხვა მრავალ მსგავსთაგან იმით განსხვავებულს, რომ მის შესახებ არა ისტორიიდან ამოგვიკითხავს, არამედ ბედმა, უკეთ უბედობამ, თვით ჩვენ, დღევანდელ უფროს თაობას გვარგუნა მწარე ხვედრი მისი მომსწრენი ვყოფილიყავით. ზოგნი უშუალო მონაწილენი, ზოგნი კი ახლო თუ შორეული მოწამენი და მრავალი ჩვენთაგანი პირადათაც დაზარალებული საკუთარ ოჯახის წევრების, თუ ახლობლების დაკარგვით. ამიტომ, გასაგებია, რომ ყველაფერი ეს ამძაფრებს ჩვენს განცდებს და ხშირად გვიძნელებს მომხდარი ამბის მიუდგომელ შეფასებასაც.

ამ ხნის განმავლობაში არა ერთი თუ ორი ინფორმაცია მოგვისმენია, სიტყვიერი თუ წერილობითი, ყოველივე მომხდარის ირგვლივ და არა მგონია, დასამატებელი რამ დარჩენილიყოს, მაგრამ, ვინაიდან ამ ეროვნულ გლოვის დღის აღნიშვნის ტრადიცია მის სიჩუმით ჩატარებას არ ურიგდება, საჭიროთ მიმაჩნია ზოგადი მიმოხილვა გავაკეთო, მეხსიერებაში აღვადგინო მომხდარი ტრაღედიის შინაარსი, მისი გამომწვევი მიზეზები, მისი რაობა და შედეგები.

აგვისტოს აჯანყების ძირი თუ გასაღები, საძებნელი არ არის. ესაა რუსული პირწავარდნილი იმპერიალიზმი, რამაც ჯერ კიდევ პაწაწინა მოსკოვის სამთავროში იჩინა თავი და იქედან მოყოლებული, ზოგიერთ იძულებითი შეფერხებებით, მაგრამ შეუჩერებელი ტემპით, საუკუნეთა განმავლობაში წინ მიექანება და დღეს კი, ჩვენს ხანაში, პსევდოკომუნისტურ აგრესიულ იდეებით გამძაფრებული, — ამ ქვეყნის ძლიერთა მორიდებული გამოთქმით და უცნაურ დაუდევრობის წყალობით, ისეთ მწვერვალზეა აყვანილი, რომ ის მთელ მსოფლიოს წალეკვით ემუქრება.

გადავხედოთ ამ იმპერიალიზმის მზაკვრულ გამოხატვას კერძოდ ჩვენი ქვეყნის მიმართ.

18-ტე საუკუნის მიწურულში სამხრეთიდან მუსულმანურ ქვეყნების მოწოლით შევიწროვებული ქართლ-კახეთის სამეფო, თავის სახელმწიფოებრივი სუვერენობის ზოგიერთ შეკვეცის ფასით, მფარველობის საერთაშორისო ხელშეკრულებით უკავშირდება იმ დროს უკვე კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებამდე მოგორებულ რუსეთს. ამ აქტის მიზანშეწონილობისა თუ აუცილებლობის შეფასება ამ ჟამად ჩემს მიზანს არ წარმოადგენს, მით უფრო, რომ დღეს ამაზე მსჯელობა აკადემიურ ხასიათს არ სცილდება. აღვნიშნავ მხოლოდ ისტორიულ ფაქტს, რომ რუსეთთან ურთიერთობას იმ დროსაც დიდი ოპოზიცია ჰყავდა წარჩინებულთა წრეში. სინამდვილემ მალე გაამართლა ამ ოპოზიციის რუსეთისადმი უნდობლობა. პირველი შემთხვევისთანავე აშკარა გახდა, რომ რუსეთი ამ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულების შესრულებას, რაც მას ქართული ტერიტორიის დაცვაში სამხედრო დახმარებას აკისრებდა, სრულიად არ აპირებდა და მას მხოლოდ მზაკვრული ზრახვები ამოძრავებდა. რუსეთთან დაკავშირებით გაბრაზებული აღა-მაჰმად ხანი ძლიერი სპარსული ჯარით თბილისს უახლოვდება და ქართლ-კახეთის მეფეს არჩევანის წინაშე აყენებს: ან რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და ამ შემთხვევაში ის უკან გაბრუნებას აღუთქვავს, ან ომი ყველა მისი შედეგებით. ჩვენი დღევანდელი წარმოდგენისათვის საოცარი რამ მოხდა; მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთი არღვევს ხელშეკრულებას და უარყოფს დახმარებას, მეფე მაინც ამ დარღვეული კავშირის ერთგული რჩება და თავის იმედს საკუთარ მცირე ძალებზე ამყარებს. მტერი იმარჯვებს: აოხრებს და ძარცვავს ქვეყანას, გადასწვავს თვით დედა ქალაქს. მართლდება რუსეთის დაფარული მიზანი. ის სარგებლობს ქვეყნის დასუსტებით, ცალმხრივი დეკრეტით აბათილებს მთელ ხელშეკრულებას, სამეფოს თავის ჯარით იპყრობს და თავის საკუთრებად აცხადებს. ყველა იმ შემავიწროვებელი წესების თავზე მოხვევით, რომლებიც ყოველთვის და ყველგან უცხო ოკუპაციის თანამგზავრია. კიდევ უარესი: რუსეთის იმპერატორი თავის გვირგვინს საქართველოს მეფის ტიტულით ამკობს. მთელი სამეფოს გაუქმებით და მის რუსულ ყაიდაზე გუბერნიებათ დაყოფით აკანონებს ისეთ ძალმომრეობას, როგორიც საქართველოს არც ერთ დამპყრობელს ამ დრომდე არც კი დასიზმრებია. ამის შემდეგ მთელი საქართველოს დაპყრობა და რუსეთის მიერ მიკუთვნება მხოლოდ დროის საკითხი იყო.

რასაკვირველია ქართველი ერი არ შეურიგდა რუსეთის მიერ მის გადაყლაპვას და მრავალი კუთხური აჯანყებების გზით შეეცადა მონობის უღლის გადაგდებას. მაგრამ ასეთ საშუალებაში გაწბილებამ აიძულა ის ღია ბრძოლის ტაქტიკა ლეგალურ საქმიანობით შეეცვალა; გასაჭირისაგან თავის დაღწევა შესაფერ დროისათვის მიენდო და ამის მოლოდინში ეროვნული სულის გაღვივებაზე, მისი ენის, კულტურის, მისი ეროვნული ვინაობის შეგნება-შენახვაზე ეზრუნა, რათა ეროვნულ-პოლიტიკურად გათვითცნობიერებული შეხვედროდა ცვალებად მოვლენებს. ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული სკოლები, ქართული თეატრი, ქართული ბანკი, ჟურნალ-გაზეთები, სიტყვაკაზმული მწერლობა, კოოპერაცია, სახალხო სახლები, — აი ამ ეროვნულ-კულტურულ ღონისძიებათა ახალი ასპარეზი, რომელზედაც გაიშალა იმდროინდელ სასიქადულო დიდ მოღვაწეთა ახალ ტაქტიკის გამომხატველი მადლიანი საქმიანობა; ისეთი დუხჭირ პირობებში, როდესაც უცხო ბატონების მიერ ქართველი ერი რაღაც მდარე ხარისხის „ინოროდცებათ“, მისი ენა „ძაღლის ენად“ იწოდებოდა და მტრის განკარგულებაში არსებული ყველა აპარატი მის ეროვნულად გადაგვარების მიზანს ემსახურებოდა.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ პოლიტიკურ პარტიების დიდი ღვაწლი, რაც მათ, ერთის მხრივ თავიანთ უშუალო მონაწილეობით დასდეს ყველა ამ კეთილ წამოწყებების ნაყოფიერად მიმართავს, მეორე მხრივ კი თავიანთ არალეგალურ, თუ ნახევრად ლეგალურ ბრძოლის პროცესში რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაუფასებელი სამსახური გაუწიეს ერის გათვითცნობიერებას, მის პოლიტიკურად დარაზმვას, ბრძოლაში გაწრთვნას, მისი ერთი დროში ქვეშ გამთლიანებას და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მისი სახელის, მისი ვინაობის გარედ გატანას და პოპულარიზაციას, როგორც იმპერიის შიგნით, ისე გარეშე ქვეყნებშიც.

იფეთქა რევოლუციამ. საამისოდ პოლიტიკურად სრულიად მოუმზადებელი იმპერია, კავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოს გამონაკლისით, სამოქალაქო ომის ცეცხლმა მოიცვა და ამის შედეგად ჩვენი ქვეყანა მოსწყდა რუსეთს, ჯერ ფიზიკურად, შემდეგ კი საქართველოც და რუსეთიც თავიანთ ეროვნულ ტრადიციებს დაუბრუნდა: რუსეთში კომუნისტური ტირანია გამეფდა, საქართველომ კი თავისი დამოუკიდებლობა აღადგინა და ეროვნულ-აღმშენებლობით მუშაობას შეუდგა. მიუხედავათ ამისა, რუსეთი საქართველოს მაინც მის საკუთრებად იგულებს და ის მას მორიგ მზაკვრულ ღალატით გამოხატავს: ბრესტლიტოვსკის საზაო ხელშეკრულებით ის ოსმალეთს აჩუქებს საქართველოს უდაო ოლქებს და ამით უსპობს მას მისი დაპყრობის შემდეგ დარჩენილ ერთად-ერთ ნუგეშს, რაც თუ გინდ რუსეთის ფარგლებში მოქცეულ ქვეყნის ტერიტორიას მთლიანად შენახვის იმედით გამოიხატებოდა. იმავე დროს კომუნისტების დემაგოგიით გატაცებული რუსის ჯარი შლის კავკასიის ფრონტს და უდისციპლინო ბრბოების სახით „სახლისაკენ“ მიეშურება და ამით არა მარტო ოსმალეთს უხსნის გზას საქართველოში შემოსასვლელად, არამედ, რაც არა ნაკლებ სახიფათო იყო ჩვენთვის, დეზორგანიზებული რუსის ჯარი, დახევის გზაზე მდებარე საქართველოს ძარცვა-აწიოკებით ემუქრებოდა. ასეთ მრავალმხრივი ღალატით რუსეთი თვითონვე აბათილებს მის მიერ შეთხზულ, სინამდვილეში კი არასოდეს არ არსებულ „უფლებებს“, რითაც ის ჩვენი ქვეყნის მიმართ ჩადენილ ძალმომრეობის გამართლებას ლამობდა.

ბუნებრივია, რომ ასეთ მრავალმხრივ განსაცდელში მომწყვდეული ერი მოხდენილად იყენებს შთმთხვევას და 117 წლის განმავლობაში უმართებულოდ ტარებულ უცხო უღლისგან თავს იხსნის, ხელთ იღებს თავის თავის პატრონობას და ოცდა ექვსი მაისის აქტიდ იბრუნებს და აკანონებს თავის ეროვნულ მეობას. საკუთარი მარჯვენით უმკლავდება გარედან მოწოლილ განსაცდელს და ერთსულოვანი ენტუზიაზმით გაერთიანებული ძალებით, განურჩევლად რწმენისა, წოდებისა თუ სოციალური მდგომარეობისა, ადამიანის უფლება-მოვალეობის უაღრეს დემოკრატიულ საფუძველზე აგებით, ამიერიდან უდგება თავისუფალ საკუთარ ქვეყნის, საკუთარ გემოზე აგებას.

ნუ გვეუცხოვება ზოგი დეფექტი, თუ შეცდომა, რომელსაც, ცხადია ექნებოდა ადგილი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. შეცდომა ყოველი საქმიანობის თანდაყოლილი სენია. წარმოვიდგინოთ ის ჯოჯოხეთური პირობები, რომელშიც ყოველი რჯულის მტერორგულობით გარშემორტყმულ, თავის ვიწრო საზღვრებში ჩაკეტილ და სასუნთქავ დახშულ ერს, მსოფლიო ომის შედეგათ დამშეულ და გაღატაკებულ ქვეყანას, ნორჩ, ახლად ფეხადგმულ სახელმწიფოს მოვლა-პატრონობა უხდებოდა და გასაკვირი იქნება არა ის თუ რა ვერ, ან ცუდათ გაკეთდა, არამედ ის, რისი გაკეთებაც მოხერხდა იმ მცირე პერიოდში, რითაც თვით უცხოელებიც კი განცვიფრებაში მოდიოდნენ. თვით ის ფაქტი, რომ მრავალ სხვა ჩვენი ბედის მოზიარეთაგან გამონაკლისის სახით საქართველო დე ფაქტო და დე იურე ცნობილ იქმნა ჯერ თვით რუსეთის და შემდეგ მრავალ მოწინავე ქვეყნების მიერ, ხომ იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენმა ერმა იშვიათი უნარი გამოიჩინა საკუთარი ცხოვრების მოწესრიგებაში და ამით დაიმსახურა საერთაშორისო დიდი ოჯახის წევრი გამხდარიყო.

ფრიად ხანმოკლე აღმოჩნდა საქართველოს ბედნიერება. მართალია რუსეთმა პირველმა იცნო ჩვენი ქვეყნის სუვერენობა, მისი შინაურ აწეწილობის ზეგავლენით, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ მისი ცბიერების მორიგი აქტი აღმოჩნდა. სამოქალაქო ომის დამთავრების უმალვე რუსეთი ერთხელ კიდევ მუხანათურად თავს დაგვესხა; ფეხქვეშ გათელა 120 წლის განმავლობაში მეორედ — ახალი ხელშეკრულება, მის მიერვე ცნობილი დამოუკიდებლობა წარგვტაცა და ქვეყანა რაღაც საკავშირო რესპუბლიკის ფიქტიურ სახელწოდებით თავის კოლონიად გახადა. ქართველ ერს კვლავ დაადგა უკვე ნაგემი მონობის უღელი.

იმავე რუსეთმა, იმავე მზაკვრობით, მეორედ დაიპყრო საქართველო, ვიმეორებ და ხაზგასმით აღვნიშნავ, იმ ხშირად ხმარებაში არსებულ მცდარი აზრის უკუსაქცევად, რითაც რაღაც გაუგებრობით ეს მეორე ძალმომრეობა კომუნისტური რეჟიმის აქტად საღდება. მართალია ამ ხელად ჩვენში შემოვიდა კომუნისტური რუსეთი, მაგრამ ასეთ მოაზროვნეთ მხედველობიდან ეპარებათ, რომ რომ მეფის თუ კომუნისტური რუსეთი, როგორც ამსიტყვის განმეორება მოწმობს, ერთი და იგივე რუსეთია და მისი შავი თუ წითელი ფერი არაფერსა სცვლის. გადატრიალებას, ერთი რეჟიმის მეორეთი შეცვლას, ისიც შინაური, რუსული ძალით, ადგილი ჰქონდა მხოლოდ რუსეთში და რეჟიმის საკითხიც, როგორც სლავიანთა შინაური დავა, მხოლოდ იქ იდგა. რუსეთში არავითარ იმპერიალისტურ გავლენას, არავითარ გარეშე დაპყრობას ადგილი არა ჰქონია. კიდევ მეტი: საქართველოში კომუნისტური რეჟიმის ბიძგი და დასაყრდენი რუსის ჩექმაა, ის მას მოჰყვა და ცხადია მასვე უნდა გაჰყვეს, მის ბატონსა და მბრძანებელს. ამ ჩექმას მოკლებული ის ერთ წუთსაც ვერ იარსებებს. ამიტომ ქართველი ერის ბრძოლის საგანია, არა მოსკოვის ძაფებზე მხტუნავი მარიონეტები, რომლებიც ქართველი ერის ერთ სულის შებერვასაც ვერ გაუძლებენ, არამედ მათი მომთესლებელი და მასაზრდოვებელი რუსული იმპერიალიზმი,

ამრიგად განმეორდა ისტორია იდენტიური ფორმით, მაგრამ გაცილებით სასტიკი და დაუნდობელი შინაარსით. ამუშავდა ჩეკად განათლული რუსული „ოპრიჩინის“ შურისძიების აპარატი ქართველ პატრიოტებზე სანადიროთ. დაიბორკა ადამიანის არა მხოლოდ ენა, არამედ თვით უჩინარი აზროვნებაც. აივსო სარდაფ-ციხეები, დაიღვარა ერთგულ მამულიშვილთა უმანკო სისხლი. გაიძარცვა ერი პოლიტიკურად, გაიძარცვა ის ქონებრივად. ერის ნაძარცვ დოვლათით დატვირთული მატარებლები ფეშქაშის სახით ერთმანეთს მისდევდნენ დამშეულ რუსეთისაკენ — თან ასეთი ცინიკური წარწერით: „მადლობა მოსკოვს ბედნიერ ქართველი ერისაგან“. „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“, ასეთ ბარბაროსულ პაროლზე აგებულ განუკითხავ დევნა-ტერორმა ხალხი აიძულა ტყეებში გახიზნულიყო. გაჩნდა მასიური პარტიზანობა ყველა მისი თანდაყოლილი თვისებებით. აივსო და გადმოდენაც იწყო აწიოკებული ერის მოთმინების ფიალამ. აჯანყებები სპონტანურად, უსისტემოდ დაიწყო სხვა და სხვა კუთხეში: სვანეთში, ხევსურეთში, რაჭაში, კახეთში, რაც ძლიერ, დაუნდობელ მტრის პირის-პირ ქვეყანას სისხლისაგან დაცლას უმზადებდა.

აი, ასეთ მწვერვალზე ასულმა ერის მრისხანებამ გარდაუვალ აუცილებლობის წინაშე დააყენა მეტ ნაწილად უკვე არალეგალობაში მოქცეული მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ხელში აეღო ამ გაფანტულ მოძრაობის გაძღოლა, მისი სისტემაში მოყვანა, მის ერთ მწყობრ ძალად შედუღება, ერთ კალაპოტში მოქცევა, საერთოდ მის სტრატეგია-ტაქტიკაზე ზრუნვა სათანადო მომენტში, ნაკლები მსხვერპლით, გამოყენება და სასურველი შედეგის მიღება.

აჯანყება მოხდა. იშვიათი ერთსულოვანობით ეკვეთა ქართველი ერი მის სულთამხუთავს. ერთის დაკვრით, ცარიელი ხელებით, ისიც უსისხლოდ, მტრის აგენტების მიმართ, დიდსულოვნობის გამოჩენით, სულ რამოდენიმე საათის განმავლობაში დაეპატრონა ის თითქმის ყოველ პროვინციულ აპარატს. მიუხედავათ ამისა, ტრაღიკული იყო შედეგები. ვინაიდან ცენტრებში წინდაწინ გაფრთხილებული მტერი მომზადებული შეხვდა საშიშროებას და ამან გადაწყვიტა აჯანყების ბედი. დაფეთებულმა ჯალათებმა გაუგონარი შურისძიებით უპასუხეს და განუკითხავად გაავლეს მუსრი თავისუფლებისთვის თავდადებულ მამულიშვილებს. არ დაზოგეს თვით დიდი ხნით ციხეებში გამომწყვდეული და ამის გამო აჯანყებაში მონაწილეობის მიღების საშუალებას მოკლებული პოლიტიკური ტუსაღებიც. უკვე ცნობილი ფაქტია, რომ ხელისუფლებას ჰქონდა აუთენტიური ინფორმაცია, აჯანყების სრული გეგმა და ამიტომ იოლიც იქნებოდა ქვეყნისათვის ეს სისხლიანი ტრაღედია აეცილებინა. თუ მან ეს არ ისურვა, ცხადია, იმ ერთად-ერთი მზაკვრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაგეგმილი მეურნეობა

მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიკის ერთი საფუძველთაგანი სახელმწიფო დაგეგმის პოლიტიკაა. მართალია ზოგ არა ოფიციალურად აღიარებულ „მარქიზმ-ლენინიზმის“ ქვეყანამაც შეითვისა ეს პრინციპი, მაგრამ, რადგან წყარო ერთია, ამიტომ შედეგიც ყველგან ერთნაირი მოგვცა.

როგორც თავისთავად სახელწოდება ამჟღავნებს, სახელმწიფო დაგეგმის პოლიტიკა ნიშნავს სახელმწიფოს უშუალოდ ჩარევას ეკონომიკაში და საზოგადოებრივი ინტერესების სახელმწიფო აპარატის დამორჩილებას. მაშასადამე, სახელმწიფო ბიუროკრატია ადგენს გეგმებს, თუ სად, ვინ, რანაირი და რამდენი უნდა დაამუშაოს. ამავე დროს სახელმწიფო ადგენს საბაზრო ფასებს და ანაწილებს საქონელს. ამის წყალობით მოქალაქეს ესპობა შესაძლებლობა, არა მარტო საქონლის არჩევის, არამედ შევაჭრებისაც. ამგვარად, მთელი წარმოება, ბაზარი, საბაზრო საქონლის განაწილება და საბაზრო ფასის დაწესება დამორჩილებულია სახელმწიფო ბიუროკრატიაზე. აგრეთვე დამორჩილებულია თვით მქმედი — მუშა ხელი, რომელიც უკეთესი მომავლის შეპირებით, მონური მორჩილებით უნდა ასრულებდეს სახელმწიფო ბიუროკრატიის მიერ თავზე მოხვეულ გეგმებს. კოლექტიურ მეურნეობის სისტემაში, სახელმწიფო ბიუროკრატიის მიერ დამონებულ მოქალაქეში თვით სისტემა ჰკლავს ადამიანის ინიციატივას და აქედან გამორიცხულია ნიჭის, უნარის და ენერგიის გაფურჩქვნის შესაძლებლობა. ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ, რომ „უკეთესი მომავლის შეპირებით“ მქმედი, უნდა მიეძღვნას სახელმწიფოს, რომელიც მის შრომას მინიმალურზე ნაკლებად აფასებს, მაშინ ნათელი გახდება, რომ ამგვარად შებორკილი ადამიანი ვერ მოგვცემს სასურველ ნაყოფს და მისი შემოქმედება უფრო დაბალი იქნება, ვიდრე მისი უნარის და გარჯის დაფასება.

სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც სიტყვა ეხება საბჭოთა რუსეთს და მისგან დაპყრობილ ქვეყნებს.

ამ ყალბ და მცდარ პრინციპის აღიარებამ დასცა საბჭოთაა კავშირში ცხოვრების დონე და წარმოშვა ეკონომიური კრიზისი, რომელიც ერთ ხანს დასავლეთმა მხოლოდ მიწათმოქმედების კრიზისად მიიღო.

სულ მცირე ხნის წინ მსოფლიო პრესა გაოცვიფრებაში მოიყვანა მოსკოვის განცხადებამ, თითქოს, „უამინდობამ“ მიწათმოქმედება იმდენათ დასცა, რომ მოსკოვი, იძულებული იყო ხორბლეულიც კი „კაპიტალისტურ“ ქვეყნებში შეეყიდა.

ხანგამოშვებით მსგავსი განცხადებები მქერმეტყველურად ღაღადებს, რომ კომუნისტური სისტემა და მარქსისტული დოქტრინა პოზიტიურს ვერაფერს ქმნის და ვერაფერს აძლევს საზოგადოებას. უწინ თუ ტექნიკურად ჩამორჩენილი მეფის რუსეთი, (კერძოდ უკრაინის ნოყიერი მდელო) მთელი ევროპის ბეღელად ითვლებოდა, დღეს „მაღალ ინდუსტრიალურ“ რუსეთს ყოველგვარი პირველი მოთხოვნილების საქონელი აკლია.

როგორც ვიცით, რამოდენიმე წლის წინ, „უამინდობის“ გამო უაღრეს გაჭირვებაში ჩავარდნილი რუსეთი იძულებული იყო ხორბალი უცხოეთში შეეყიდა. რაც კი თავისუფალი გემები იყვნენ მობილიზაცია გაუკეთეს და რამოდენიმე დღის განმავლობაში 69 გემმა საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულება დადო, რათა საჩქაროდ გამოეტანა ხორბალი კანადიდან და სან ლორენის წყლიდან შავი ზღვის პორტებზე მიეტანა.

ამ გარემოებამ გადატანის ფასი ძლიერ გაზარდა (25 %-ით), მაგრამ რუსეთი მზად იყო ყოველგვარი საფასური გაეღო, ოღონდ კანადაში შეძენილი ხორბალი მალე შეეტანა საბჭოთა კავშირში.

მიუხედავათ იმისა, რომ ამის წინათაც და ამის შემდეგაც, ხშირად გვესმის მოსკოვის ბაქი-ბუქი, რომ ის უკვე დაეწია თავისუფალ ყვეყნებს და კიდეც გადაასწრო მას, ეტყობა კომუნიტურ ეკონომიკაში პირველი მოთხოვნილების საქონელის საკითხი ძნელად გადასაწყვეტ ამოცანად დარჩენილა.

საბჭოთა კავშირში 63 %-ზე მეტი მიწის ფართობია სახნავ სათესი, ვიდრე შეერთებულ შტატებში. რუსეთის მუშათა კლასის ნახევარი მიწისმომქმედია, შეერთებულ შტატებში კი მხოლოდ ათი პროცენტი. რადგან რუსეთს მიწის ფართობიც მეტი აქვს და მიწის მუშაც, საფიქრებელი იყო, რომ შემოსავალიც მეტი ექნებოდა. მაგრამ, გამოირკვა, რომ საბჭოთა რუსეთს „ამინდების და მიხედვით, ხანგამოშვებით, აკლია პური, ხოლო დაუძლეველი პრობლემა აღმოჩნდა მოსახლეობის ხორცით, ბოსტნეულობით და რძის ნაწარმოებით დაკმაყოფილება. გამოირკვა, რომ თითქმის 90 მილიონი ამ დარგში მომქმედი მუშა ხელი ვერ აკმაყოფილებს ორას მილიონიან მოსახლეობას.

ცხადია, ამ მდგომარეობას მრავალი ახსნა აქვს. ერთხელ ეს ბუნების ბრალი იყო და კოლმეურნეობის ცუდმა ადმინისტრაციამ აუარებელი დანაკლისი გამოიწვია. მერე გავიგეთ, რომ მძიმე და გრძელი ზამთრის გამო გათვალისწინებული გეგმა ვერ შესრულდა, ზოგ ადგილებში დაგვიანებულმა გაზაფხულმა და მშრალმა ზამთარმა გააფუჭა მოსავალი. თვითონ კრემლი კი ხშირად პიროვნებებს აბრალებს: კოლმეურნეობის ცუდი ადმინისტრაცია, ცუდი მოხმარება, ცუდი შენახვა და ქონების განიავება; ქიმიური განოყიერების შეუსრულებლობა და მიწის გასანოყიერებელი მასალის ცუდათ გამოყენება. მაგრამ კრემლის ამგვარი ახსნა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და ის უმალავს მოსახლეობას, რომ რუსეთმა ვერ გამონახა ისეთი თესლი, რომელიც ყოველგვარ პირობებში იხარებდა; რუსის გლეხს არა აქვს შესაძლებლობა მიწა შეასვენოს, რაც ნაყოფიერებისათვის აუცილებელი პირობაა. მესამე და მთავარია, რომ „მაღალი ინდუსტრიალური“ რუსეთი კვლავ სტიქიურობაზე ყოფილა დამოკიდებული.

თავის ბატონობის ხანაში ხრუშჩოვმა სცადა მდგომარეობის გამოსწორება. მან გატეხა ყამირი მიწა ყაზახისტანში და ციმბირში, მაგრამ ვერც ამან მისცა საბჭოთა კავშირს სასურველი შედეგი და ამით დასრულდა ყამირი მიწების პროგრამა. შემდეგ არსებული მიწების დამუშავების გაუმჯობესება სცადეს, ასწიეს კოლმეურნეობების ნაწარმოების ფასი, დეცენტრალიზაცია მოახდინეს დამუშავების გეგმას, ფიქრობდნენ ამით გაიზრდებოდა შემოსავალი; მოახდინეს კოლმეურნეების შეჯგუფება და დიდი ერთეულების შექმნა, მოუმატეს ელექტროფიკაცია, ირიგაცია, მექანიზაცია, მაგრამ გაუმჯობესების მაგიერ მოსავალი გაუარესდა.

დაუშვათ, რომ მიწათმოქმედების მალამო ვერ მოიგონა რუსეთმა და ამინდის ავკარგიანობაზე დამოკიდებული შეჰყურებს ზეცას და მისგან მოელის კუჭის დასაკმაყოფილებელ წყალობას. რა დააშავა ქარხნის ნაწარმოებმა? მას ხომ მზე-წვიმა არა სჭირდება! მიუხედავათ ამისა საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ დასძლია კრიზისი და ორმოცდაათი წლის განმავლობაში მისი მოქალაქე „ფეხშიშველი და ტანშეუმოსავი“ დაიარება!.

რა არის ამ ულოღიკო მდგომარეობის მიზეზი?

ჩვენი ღრმა რწმენით ეკონომიკის ყალბი პრინციპი. აქ კვლავ ერთი მეორეს ეჯახება თავისუფალი ინიციატივის და სახელმწიფო დაგეგმის პრინციპები. ამ დაპირდაპირებაში ნათლად გამომჟღავნდა თავისუფელი ინიციატივის უპირატესობა. გამოჩნდა, რომ როცა ადამიანს თავისუფალი შემოქმედების შესაძლებლობა აქვს, ის თავისი ნიჭისა და უნარის მიხედვით ქმნის მეურნეობას და ზრდის შემოსავალს. სახელმწიფოს მიერ თავზე მოხვეული გეგმები და ამ გზით შებორკილი ადამიანის შემოქმედებითი უნარიც განსაზღვრულია და ვერ გვაძლევს ნაყოფიერების მაქსიმუმს. აქედან წარმომდინარეობს რუსეთის ეკონომიური კრიზისი.

ეკონომიკის პროგრესიულობის და მისი გაფურჩქვნის წინდაწინი პირობაა მქმედის, მუშის თავისუფლება და მისი შრომის დაფასება, როცა საზოგადოება მშრომელს აინტერესებს მისი შრომის გულუხვი შემოსავლით, მაშინ მუშა დაინტერესებულია შემოსავლის გაზრდით, ხოლო, როცა მას შიშით და იძულებით უხდება თავზე მოხვეული გეგმების შესრულება, ამგვარი მშრომელისაგან შემოსავლის გაზრდა უიმედო ოცნებაა.

ამ დღეშია საბჭოთა კავშირი. მისი ეკონომიური კრიზისი ყალბი პრინციპების შედეგია და ამას ვერავითარი დეკრეტი, ან მუშის „დათრგუნვა“ ვერ გამოსცვლის.

**გ. ზალდასტანიშვილი**

## საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

(წერილი მესამე)

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, წითელი რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს ანექსიის შემდეგ, ქართველი ერის უმრავლესობის მიერ არჩეული საქართველოს კანონიერი მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით, იძულებული გახდა საფრანგეთში გახიზნულიყო. ეს ერთად-ერთი მთავრობა იყო, რომელსაც ქართველი ერის სახელით ლაპარაკის უფლება ჰქონდა. ამის შემდეგ ქართველ ერს საკუთარი მთავრობის ნაცვლად, მოსკოვის მიერ დანიშნული და დამტკიცებული მარიონეტები განაგებენ, რომლებიც იძულებულნი არიან, არა საქართველოს, არამედ კრემლის ინტერესებს ემსახურონ. პოლიტიკურ საპყრობილეში მოქცეულ ქართველ ერს, თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლება წაერთვა და იგი რუსის ხიშტის ქვეშ, იძულებული გახდა, ამ მდგომარეობას შერიგებოდა, რადგან მრავალი ცდები ურჩობისა, როგორც ყოველთვის და ყველგან, ამ ხიშტით სისხლში იქნა ჩაღრჩობილი. ასეთ პირობებში იქ გამოტანილ „რეზოლუციების“ ფასი ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

უცხოეთს მიაშურა აგრეთვე მრავალმა ქართველმა, მათ შორის მთავრობის პოლიტიკური ოპოზიციის ერთმა ნაწილმა.

მიუხედავათ აზრთა სხვადასხვაობისა მათ ყველას, საქართველოს შელახული უფლებების აღდგენისათვის ბრძოლა აერთიანებდა.

საბჭოთა პროპაგანდისტებს, რომლებიც სხვების „მორალზე“ და „ღირსებებზე“ უსირცხვილოდ ლაპარაკობენ, გვინდა სხვათა შორის მივუთითოთ საბჭოთა რუსეთსა და ნაციონალ სოციალისტურ გერმანიას შორის, მოლოტოვ-რიბენტროპის მიერ ხელმოწერილ პაქტზე. ამ მოვლენამ მეორე მსოფლიო ომის გამოწვევაში და გაღრმავებაში საბედისწერო როლი ითამაშა, რომელმაც სახელმწიფოები და მილიონებით ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა.

ქართულმა ემიგრაციამ სავსებით გაიზიარა მისი მასპინძელი ერების ხვედრი ამ მათთვის საბედისწერო პერიოდში.

როდესაც პოლონეთის რაინდული ერი, მისთვის ჩვეული სიმამაცით და მამულიშვილობით, ამ პაქტის შედეგად შემოსეულ რუსეთს და გერმანიას იგერიებდა, პოლონეთში მყოფი ქართველი ემიგრანტები, პოლონეთის ჯარში ჩაწერილნი, თავგამოდებით იბრძოდნენ რუსების და გერმანელების წინააღმდეგ. როდესაც რუსეთმა ფინეთის ინვაზია მოახდინა, მრავალი ქართველი ცდილობდა ფინეთის ჯარში მოხალისედ ჩაწერას, თავისი სოლიდარობის გამოსახატავად.

როდესაც გერმანია დემოკრატიულ საფრანგეთს შეესია, ქართველი ემიგრანტები ფრანგ ჯარისკაცებთან ერთად ებრძოდნენ გერმანელებს საფრანგეთის დასაცავად.

ქართული ემიგრაცია მწუხარებით შორიდან შეჰყურებდა, წითელი რუსეთის მიერ — ესტონეთის, ლატვიის და ლიტვიის ანექსიას და მათ არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ფიზიკურ განადგურებას.

გარნა, მიხეილ ჯავახიშვილის გამოთქმა რომ ვიხმაროთ „ბედი-მდევარი“ კრემლის მ ე ს ვ ე უ რ ე ბ ს ა ც დაეწია, მათი მუხანათური შეთქმულების ნაყოფმა მათ თავზედაც დაიქუხა და ამჟამად გერმანია რუსეთს შეესია . . . იმ რუსეთს, რომელმაც საქართველოც ორჯერ ღალატით და მოტყუებით დაიპყრო. ამ ახალმა მოვლენამ ქართული ემიგრაციის მდგომარეობა შესცვალა. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, გერმანიის ჯარი წინ დიდი სისწრაფით მიიწევდა და სტალინის 1941 წლის ივლისის 3-ს ბრძანების საწინააღმდეგოთ, მოსახლეობის დიდი ნაწილი მას პურმარილით ხვდებოდა, ხოლო უამრავი წითელ არმიელი ცოტა წინააღმდეგობის შემდეგ გერმანელებს ტყვედ ბარდებოდა.

გერმანიის კავკასიაში შესვლის რეალური შესაძლებლობა შეიქმნა. ამიტომ საქართველოს ინტერესები მოითხოვდა, ქართულ ემიგრაციას ეცადა გერმანულ სათანადო უწყებებთან კონტაქტის დამყარება; დაპყრობილ ტერიტორიების და კერძოდ კავკასიის მიმართ მათი გეგმების შეცნობას და მასზე გავლენის მოხდენას. ამავე დროს გერმანელების ხელში ტყვედ ჩავარდნილ მრავალ ქართველს, რომლებიც რუსების მიერ წითელ ჯარში იძულებით იქნა გაგზავნილი, მსგავსი იდეა ჰქონდა: ზოგი მათგანი გერმანული ჯარის მიერ ჰიტლერის სანქციის გარეშე, გერმანულ ნაწილებთან დამხმარეებათ იყვენ აყვანილი და მოგვიანებით, მათგან სამხედრო ნაწილები შეადგინეს, რომლებსაც წინა წერილებში შევეხეთ და ქვემოდ კიდევ დაუბრუნდებით. ქართველების ამ ნაწილს, თითქმის, არავითარი ობიექტიური ინფორმაცია არ ჰქონდა გერმანიაზე და საერთოდ საბჭოთა კავშირის გარეშე სხვა ქვეყნებზე „რკინის ფარდის“ უკან ცხოვრების გამო. ზოგმა მათგანმა საბჭოთა ინვაზიის დროს ნახა პოლონეთი და ბალტიის ქვეყნები, რომლებიც მათ სამოთხეთ მოეჩვენათ საბჭოთა ჯოჯოხეთთან შედარებით. ქართულმა ემიგრაციამ ენერგიული ნაბიჯები გადადგა მათთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად და გაერთიანებული გეგმის შესამუშავებლად.

ისტორიიდან ახსოვდათ ქართველებს ის დახმარება, რომელიც გერმანიამ საქართველოს, მისი 1918 წლის დამოუკიდებლობის დროს აღმოუჩინა. ამიტომ კეთილგანწყობილება ქართველებში, გერმანელ ერის მიმართ შენახული იყო. კითხვა ისმებოდა თუ გერმანელები ამ ჟამადაც თავის ძველ პოზიციას საქართველოს მიმართ გააგრძელებდნენ. იმ დროს ომის დ ა ს ა წ ყ ი ს ში დ ა მოგვიანებითაც გერმანიის აღმოსავლეთ ტერიტორიებით დაინტერესებულ უწყებებში გაერთიანებული ცენტრალური ხაზი არ არსებობდა და ყოველი მათგანი თავის საკუთარ „აღმოსავლურ“ პოლიტიკას მისდევდა.

ჰიტლერის წიგნს „ჩემი ბრძოლა“ ამ მხრივ სერიოზულად ბევრი არ ღებულობდა. საინტერესოა ამის შესახებ საუბარი წითელი არმიის შტაბის უფროსის იეგოროვის და გერმანიის სამხედრო ატაშე გენერალ კოსტრინგის

## აგვისტოს აჯანყება

(დასაწყისი იხ. 1-ლ გვ.)

ლი განზრახვით, რომ მას აბობოქრებული ერის გულის მოგების და მისი სამართლიანი უკმაყოფილების განელების სხვა საშუალებას მოკლებულს, აჯანყების სისხლის მორევში ამოხრჩობით, ერთხელ და სამუდამოთ დაეხშო მასში მონობისაგან თავის დაღწევის იმედი და ხალისი და ამით სამუდამოთ განემტკიცებია მისი უსიტყვო მორჩილება.

არავინ უწყის აგვისტოში წამებულთა ნამდვილი რაოდენობა. დაახლოვებითი წარმოდგენის მისაღებად საკმარისია ვიცოდეთ, რომ ზოგ ვარაუდით შვიდიდან თხუთმეტ ათასამდე ანგარიშობენ. ამაში არ იგულისხმებიან ის მრავალი ათეული ათასები, რომლებმაც სამშობლოს გარეთ, შორეულ იძულებითი შრომის ბანაკებში დალიეს სული.

დამარცხდა აჯანყება. ერის ღირსეულ შვილთა სისხლით ერთხელ კიდევ გაპოხიერდა მშობელი მიწა. ქვეყანა ძაძით შეიმოსა. ის აუწერელმა გლოვამ მოიცვა. მაგრამ გაწბილდა მტერი. მართალია დროებით კიდევ დაიკეცა უმანკო სისხლში განბანილი ქართული დროშა, მაგრამ არ გადამტყდარა ერის ურყევი ნებისყოფის სიმბოლიური გამომხატველი რაინდის შუბი. ქართველი ერი ურყევი დარჩა მტკიცე რწმენით, რომ ადრე თუ გვიან ეს შუბი განგმირავს ვეშაპს და სისრულეში მოიყვანს აგვისტოს სისხლით დაწერილ განაჩენს. აგვისტო დამარცხდა, მაგრამ იდეა დარჩა. მას ტყვია ვერა ჰკლავს, ვერც ამარცხებენ. პირიქით, ბრძოლა მას აკაჟებს და აძლიერებს. ეს იდეა ოცდა ექვსი მაისია, აგვისტო კი მისი საქვეყნო ერთსულოვანი რეფერენდუმი; მისადმი ერთგულების უტეხი ფიცი, რომ ქართველი ერი მისი უფლების გათელვას არავის შეარჩენს, არც დამპყრობელს შეურიგდება და განაგრძობს ბრძოლას მის აღსადგენად. მას უამრავი ისტორიული მაგალითები მოეპოვება დროს და პირობების ცვალებადობის. ისტორიის ჩარხი აუჩქარებელია. ის ნელა, მაგრამ მის სასარგებლოდ ტრიალებს. ქართული პრობლემა ობლობას აღარ განიცდის ის მჭიდროდ გადაება მსოფლიო პრობლემებს, გახდა ერთი მისი რგოლთაგანი. არა იმიტომ თითქოს დღეს ვინმეს ჩვენი ტკივილები აწუხებს, არამედ ავტომატიურად, იმ მარტივი ალტერნატივის გავლენით, რომელიც ღაღადებს: ან რუსულ-კომუნისტური აგრესიული იმპერიალიზმის ალაგმვა, მის მიერ დაპყრობილი ერებისთვის ბორკილების აყრა, ან თავისუფალ მსოფლიოს ამ აღვირ-ახსნილ იმპერიალიზმის წინაშე დაჩოქება და იმავე ერების ბედის გაზიარება. მესამე გამოსავალი მოცემული არ არის და მისი მძებნელი ილუზიების ბურუსში მოისვენებენ. ის გარემოება, რომ თავისუფალი მსოფლიო, მის წინაშე წამოჭრილ საშიშროების შეგნების გზაზე უკვე შესდგა და ის თვითმკვლელობის სურვილს მოკლებულია, ამას სრული სიცხადით ყველა მოვლენაში ვხედავთ. ხოლო ეს კი საწინდარია, რომ არც ისე შორეულ მომავალში ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების ზარი ჰამოჰკრავს და აგვისტოს წამებულ გმირებს მათი იდეის გამარჯვებას ახარებს.

რა რიგ მძიმე და აუტანელი არ იყოს ჩვენი ერის ტანჯვა, მას სწამს ამ უბედობის წარმავალობა. აგვისტოს გამოცდილება კი გვიკარნახებს; მოთმინების დაჭიმვით, პოლიტიკური სიმწიფის გამოყენებით, ერთი დროშის, ერთი იდეის ქვეშ დარაზმული მივეგებოთ ამ სანატრელ დღეს.

აგვისტოს აჯანყება იყო მთლიანი ერის საქმე: იქ იყო არა სოციალისტი, ნაციონალისტი თუ მონარქისტი, არა თავადი, გლეხი ან მუშა თუ ინტელიგენტი, მღვდელი თუ ბერი, არამედ იყვნენ ქართველები, შედუღებულნი და გაერთიანებულნი, რათა საერთო ძალით, საერთო მტერი მოეშორებინათ და სამშობლო რუსული მონობისგან ეხსნათ.

ვიგონებთ რა 1924 წ. აგვისტოს აჯანყებას, სიყვარულითა და სიამაყით უნდა მოვიგონოთ იქ დანთხეული სისხლი და მუხლ მოდრეკილი თაყვანი ვცეთ მსხვერპლად დაცემულ მამულიშვილებს.

**† ერ. რამიშვილი**

## ფაქტები ლაღადებენ... ფაქტები

(ჩვენი ეროვნული მეობის დაცვისათვის)

„ცრუ ისტორიკოსები ისე მაგრად უნდა დაისაჯონ, როგორც ყალბი ფულის მომჭრელები“

მ. სერვანტესი

განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, როგორც იქ საბჭოთა კავშირში, ისე აქ, საზღვარგარეთ ემიგრაციაში, გახშირდა გამოსვლები, როგორც პრესაში, ისე ცალკეულ წიგნების გამოცემით, რომლებიც შეგნებულად ამახინჯებენ ქართველი ერის ისტორიის ცალკეულ მომენტებს.

აგერ ვიღაც საარუნი, აფხაზიანი, შემდეგ ქურდიანი, იქ საბჭოთა კავშირში ხარმადანიანი, ვერმიშევები და ძმანი მათნი, როგორიც არიან ხაჩატურიანი, ამ პლეადას უკანასკნელად მიემატა ვიღაც მურადიანი და ვინ იცის კიდევ რამდენი ირაზმება ჩვენი ერის ისტორიის დასამახინჯებლად. ამ ე. წ. მეცნიერებს, პუბლიცისტებს, თუ მწერლებს შეცდომაში შეჰყავთ მკითხველები.

თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიის მანძილზე რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე, როგორც იტყოდნენ ხოლმე ჩვენი სახელოვანი წინაპრები.

სხვადასხვა ჯურის მტრები არა ერთხელ ცდილან საქართველოს ამოგდებას პირისაგან მიწისა, როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ. მიუხედავად ამისა ქართველმა ერმა დღემდის შეირჩინა თავისი ენა, თავისი კულტურა, თავისი ეროვნული ტერიტორიის დიდი ნაწილი, სადაც განისვენებენ ძვლები ჩვენი მამა-პაპათა. რა ჯურის მტრები არ უნახავს საქართველოს. ისენი ვინც ამოწვდილი ხმლებით მოედინებოდნენ, ანდა კალმით ხელში. ამ მტრებმა ვერც წარსულში მიაღწიეს მიზანს და ვერც მომავალში მიაღწევენ. ჩვენი სახელოვანი მამულიშვილისა და მწერლის გერონტი ქიქოძის შთაგონებული თქმის არ იყოს: „**საქართველო იარსებებს, თუნდაც ერთი ქართველი დარჩეს ქართულ მიწაზე**“.

საქართველომ გაუძლო ვიღაც პატკანოვებს, ერიცოვებს, ქიშმიშოვებს, არწრუნებს, ნიკო მარებს, რომელმაც „ერთი ზალაყინი ამანაც დაგვაზილა“ (იხ. ილიას „ქვათა ღაღადი“, გვ. 137) და იგი გაუძლებს ახლად მოვლენილ „ისტორიკოსებს“, როგორიც არიან: ქურდიანები, სარუნები, აფხაზიანები, ხანდამარიანები, მურადიანები. ყოველი ქართველი ადამიანის ვალია გააშიშვლოს ყოველგვარი ფალსიფიქატორი. გავცეთ მათ საკადრისი პასუხი, რომლებიც მტრულად ეკიდებიან ჩვენს ეროვნულ ვინაობას, ვისგანაც არ უნდა იყოს იგი.

ეხლა გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი „მეცნიერ-ისტორიკოსი“ ვიღაც ხარმადანიანი. ეს სწავლული თავის ნაშრომის მიმოხილვას იწყებს ამიერ-კავკასიის ხალხების შორეულ ისტორიულ წარსულიდან. შემდეგ ღრმად გადადის იმ პერიოდზე, რაც მოიცავს ამიერკავკასიის დაარსებას 1921-1923 წლებში. თუ რამდენად ობიექტიურად ეხება ამ პერიოდს ხარმადანიანი, ამაზე სხვა დროს გვექნება ლაპარაკი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა შევეხოთ შორეულ ისტორიულ მონაცემებს, რასაც იგი შეგნებულად თუ საკითხის არ ცოდნით, გზადაგზა ამახინჯებს. ეს არის აფხაზეთის საკითხი და მისი ადგილი საქართველოს ისტორიაში. აი რას სწერს ხარმადანიანი: „აფხაზეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, 19-ტე საუკუნის დასაწყისში ნაწილი აფხაზებისა (აფხაზი მუსლიმანები) გადასახლდნენ თურქეთს. ადგილზე დარჩა დაახლოვებით 50-ათასი აფხაზი. ამის შემდეგ აფხაზეთის მთელ რიგ ადგილებში ჩასახლებულ იქნენ სომხები, ქართველები, ბერძნები, რუსები“-ო.

ხარმადანიანის „ბრძნული“ კონცეფციით გამოდის, რომ ქართველები, სხვებთან ერთად დაუფლებიან აფხაზეთის მიწა-წყალს, როგორც კოლონიზატორები. ანდა შეუფარებიათ იქ თავი, როგორც ლტოლვილ სომხებს.

რათ დასჭირდა ხარმადანიანს, ისიც ჩვენი კარის მეზობელს, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, საქართველოს და საერთოდ კავკასიის ერთობის მტრების წისქვილზე წყალის მიშვება? ანდა მრავალჯერ გადაღეჭილ და ყურით მოთრეული ამბების კვლავ ახალი სამოსელით გასაღება?

განა ცოტამა სცადა ჩვენი ვინაობის ამოფხვრა? დიდმა ილიამ, ჩვენი ერის განმანათლებელმა თავის უკვდავ „ქვათა ღაღადში“ თავის დროზე ამხილა ისინი, მაგრამ კიდევ დარჩენილან თურმე თითო ოროლა.

თუ ჩვენ სამ მეზობელში ერთი რომელიმე დაეცა, ორ სხვას, მაინცადამაინც, დიდ სიკეთეს არ უქადის, რადგან სხვადასხვა ერთა, და განსაკუთრებით კავკასიის ერების გადაკიდება ყოველთვის მოდიოდა იმ თეორიიდან, რაც ცნობილია „დაჰყავი და იბატონე“-ო. ჩვენ უნდა შევეცადოთ ამ თეორიას არ ავყვეთ, რადგან იგი სიკეთეს არ უქადის ჩვენი ერების მომავალს.

რადგან ხარმადანიანის ნაშრომში „ახლებურად“ და „უაღრესად მეცნიერულად“ წამოჭრილია ძველი ამბავი, ერთხელ და სამუდამოთ გადაცოხნილი და წყალწაღებული, ჩვენ გვინდა სიმართლე აღვადგინოთ უტყუარი ფაქტებით, საბუთებით, რაც მოცემულია ბერძნულ-რომაულ-არაბულ სამყაროს ისტორიკოსების, ბიზანტიური მწერლების და რუსი და ქართველი ისტორიკოსების შრომებში. ჩვენ მივმართავთ არა ზღაპრებს, ან ჭორებს და ყურმოკრულ ამბებს, არამედ სიმართლეს, რომელიც არც ერთ მეცნიერს შორის ეჭვს არ გამოიწვევს. ჩვენთვის ფაქტები მთავარია, ფაქტები, რომლებიც სიმართლეს ლაღადებენ.

აფხაზეთი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ქრისტეს დაბადებამდე იყო შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ძველი ქართული, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოსი, რაც ბერძნულ-რომაულ მსოფლიოში ცნობილია კოლხეთის სახელით. აფხაზები, როგორც დასავლეთ საქართველოს — კოლხეთის სხვა ქართული ტომები — ჭან-მეგრ-ლაზები და სვანები, წარმოიშვნენ ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მრავალსაუკუნეებით ადრე ქრისტეს დაბადებამდე. რაც შეეხება სომხებს, ბერძნებს თუ რუსებს, ისენი სხვადასხვა დროს ჩასახლდნენ დასავლეთ საქართველოს — კოლხეთის ტერიტორიაზე. ამათგან სომხები, მას შემდეგ, როცა ოტომანთა იმპერიის მესვეურებმა აიკლეს და ააწიოკეს ისენი. ხოლო რუსები მოვიდნენ აფხაზეთში დღიდან საქართველოს სამეფოს სხვადასხვა კუთხეების დაპყრობისა ცარისტული რუსეთის მიერ.

სახელწოდება აფხაზებისა „აბხაზი“ თავის წარმოშობით ქართულია და ამ სახელს ატარებს იგი მრავალი საუკუნის მანძილზე (იხ. „ბოლშაია სოვეტსკაია ენციკლოპედია“ ტ. 1, 2-რე გამოცემა, გვ. 47. გამოცემულია მოსკოვში 1949 წ.)

აკ. გიორგი ახვლედიანი თავის სტატიაში „აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის“ სწერს: „ცნობილია, რომ ტოპონიმიკის მეცნიერული შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხის ისტორიული ცხოვრების გასაცნობად. ტოპონიმიკაში („ადგილთა სახელწოდებებში“) ხშირად ასახულია ეთნონიმიკაც, ე. ი. იმ ტომთა სახელწოდებები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ ამ ტერიტორიაზე. ტოპონიმიკაში ხშირად შემონახულია დამახინჯებული საზოგადო სახელები, რომლებიც საკუთარ სახელებად შერჩენია ამა თუ იმ ადგილს: სოფელს, მდინარეს, მთას, ტყეს, წყაროს, საყანეს, საბალახოს და სხვას“ (იხ. „მნათობი“ ნომ. 2 თბილისი, 1957 წ. გვ. 108).

ჩვენი ნაშრომის მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას ყოველმხრივ განვიხილოთ აფხაზეთის მოსახლეობის ისტორიულ-ეთნიკური შემადგენლობა, ამიტომ ამ საკითხს შევეხებით მეტის მეტად შეკუმშულ ფორმებში: აფხაზეთის ტერიტორიაზე ძველად მოსახლეობდნენ ადგილობრივი ტომები: აბხაზები, აბსილები, ანუ აფშილები, სანიხები ან ჰენიოხები — გვიან კიდევ აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილში სახლდებიან ჯიქები, ამიტომ ამ მხარეს ეწოდა „აფხაზეთის ჯიქეთი“.

ჯიქები უწინ მოსახლეობდნენ ჩრდილოეთკავკასიაში, როგორც მისი ძირითადი ტომი. შემდეგ ისენი გადავიდნენ ზღვისპირა ზონაზე და თანდათანობით დაიწყეს თავიანთ ტერიტორიების გაფართოება. „ანტიკური დროის ავტორები, 4-1 საუკ. ქრისტეს დაბადებამდე, მილეთელი, სქილაკს კარიონდელი ,არტემიდორე ეფესელი და სხ., მოგვითხრობენ პონტოს ამ ნაწილზე და არ ახსენებენ ჯიქებს. მხოლოდ სტრაბონი ახსენებს მათ“ (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 125).

თავიდან აღვნიშნეთ, რომ ჯიქები აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ, მაგრამ სახლედობრ მის რომელ ნაწილში და ვინ იყვნენ იქ ძირეული მკვიდრი მცხოვრებლები, ჯიქების ჩასახლებამდე? ამაზე პასუხი იქნება: აფხაზეთის ჯიქეთში, ან მხარეში, რომელიც არის ისტორიულ აფხაზეთის ჩრდილოეთ მხარეში — ძველ ჰენიოხეთში, ეხლანდელ ტუაპსეს რაიონში — ანტიკურ ეპოქაში ცხოვრობდნენ ქართული ტომები მეგრელ-ლაზები, ხოლო მოგვიანებით აქ იქმნება შერეული მოსახლეობა ჰენიოხ-სანიხებისა და ჯიქებისა (იხ. პ. ინგოროყვა, გვ. 130). აწ უკვე აფხაზეთის, ანუ ძველ ჰენიოხების ცენტრში იყო ნიკოფსია, რომელსაც ძველ ეპოქაში ეწოდებოდა ლაზიკა.

ჰენიოხეთის, სანიხეთის — სანიგეთის ისტორიული ტერიტორია იყოფოდა სამ ნაწილად: ა). ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი (ზღვის პირა აფხაზეთი — დასავლეთ საქართველო), რომლის ტერიტორია შეიცავდა სოხუმიდან ადლერის ჩათვლით, ბ). შიდა ჰენიოხეთი (ეხლანდელი სოჭის რაიონი) და გ). ჩრდილოეთი ჰენიოხეთი, შემდეგში აფხაზეთის ჯიქეთი (ტუაფსეს რაიონი). ამ ტომების სახელწოდება გვიჩვენებს, რომ ისენი ეკუთნოდნენ ქართველი ტომების კოლხურ-ლაზურ-მეგრულ შტოს; სახელწოდება ჰენიოხები, სანიხები — სანიგები სწორედ მიეკუთნებოდა კოლხურ-ლაზურ-მეგრულ ჯგუფს და მათ ეკავათ ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი. აფხაზეთის გარდა ამ ტომობრივ სახელებს ვხვდებით შიდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში, რომელიც მიეკუთვნებოდა კოლხურ-ლაზურ ზონას, მაგალითად: ა). ანტიკური ეპოქის და ადრეულ საშუალო საუკუნეების წყაროებში „სანებისჰენიოხების“ ტომი „იწოდებოდა კოლხურლაზურ შტოდ, რომლებიც ცხოვრობდნენ რიზეს რაიონში, ანუ ეხლანდელი ლაზები“ (ინგოროყვა, გვ. 135). ბ). ჰენიოხები — ეწოდებოდა ჭანეთის შტოს პონტოში, ხალიბების მეზობლად (იქვე, გვ. 135).

როგორც თავიდან მოვიხსენიეთ, აფხაზეთის მხარის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარეობდა ნიკოფსია. მისი სახელი ახალი წარმოშობისაა. ამ პუნქტზე ცნობა მოგვეპოება მხოლოდ 1 საუკუნიდან. ანტიკურ ეპოქაში ნიკოფსიას ერქვა „ლაზიკა“, ანუ „ძველი ლაზიკა“, ანუ „ლაზთა ქალაქი“. 5 საუკუნის ანონიმგეოგრაფის პერისპულსში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე, კონცხი ლაიას ჩრდილოეთით მდებარეობს „ძველი ლაზიკა“, სადაც დღეს არის ეგრედ წოდებული ნიკოფსია. ეს მოხსენებული აქვს აგრეთვე 2 საუკუნის ავტორს არიანეს, ხოლო მეორე ავტორის კლავდია პტოლომეს გეოგრაფიაში ამ პუნქტს ეწოდება ქალაქი ლაზი.

ამგვარად, დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც ცნობილია საშუალო საუკუნეში აფხაზეთის სახელით (საკუთრივ აფხაზეთის მხარე) ეკავა ტერიტორია კელასურის კედლებიდან ძველ ლაზიკამდე ანუ ნიკოფსიამდე, სადაც თანამედროვე ადმინისტრაციული გაყოფით შედიან შემდეგი ერთეულები: თანამედროვე აფხაზეთის ასსრ ჩრდილოეთი ნაწილი, ადლერის, სოჭისა და ტუაპსეს რაიონები (იხ. ინგოროყვა, გვ. 294).

ეხლა შევეხოთ აფხაზერის ძველ გეოგრაფიულ სახელებს, ანუ ქალაქებს, სოფლებს, დაბების, მდინარეების, მთების და ზოგიერთ პუნქტების დასახელებას, რომლებიც თავიანთ საწყისს იწყებენ ანტიკური ეპოქიდან და ადრეულ საშუალო საუკუნიდან. ძველ წყაროებში მოხსენებული არიან: ა). ძველი დიოსკურია — ტყუბუნი, ბ). ახალი დიოსკურია — სებასტოფოლი-ცხომი = ცხუმი, ეს სახელი დადასტურებულია 8 ს. ისტორიულ დოკუმენტში. სახელწოდება ქართულია. ქართულ გეოგრაფიულ სახელებში გვაქვს გრამატიკული დაბოლოება „ომი“, შეადარეთ ცხომი ქართულ გეოგრაფიულ სახელებთან: წრომი, ბორჯომი, ბათომი, დიღომი, თორთომი.

ცხომი = ცხუმისთან შეადარეთ შიდა საქართველოში: წყუმირი ანუ წყმირი (სვანეთში) წყმორი (რაჭაში), წყმორისი (აჭარაში), ცხომარეთი. რომ სოხუმი = სუხუმი წარმოშობილია ცხომი = ცხუმისაგან მტკიცდება პროფესორ ქ. ლომთათიძის ნაშრომში: „არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოიპოვება მრავალი გეოგრაფიული სახელი უდაოდ ქართული წარმოშობისა, ბევრი მათგანი საერთოდ ცნობილია. მაგ., ცნობილია, რომ ცხუმი (ეხლანდელი სოხუმი) ქართული წარმოშობისაა. (იხ. „მნათობი“ ნომ. 12, თბილისი, 1956, გვ. 187).

მკვლევარი ვიანორ ფაჩულია ავტორი შრომისა რუსულ ენაზე „პო ისტორიჩესკიმ მესტამ აბხაზიი“, ამტკიცებს, ქალაქ სოხუმის სახელის ქართულ წარმოშობას. (იხ. მისი წიგნი, სოხუმი, 1958, გვ. 16). აი რას სწერს იგი: „ქართული ფეოდალური სახელმწიფოს 10-12 საუკუნეში სოხუმი წარმოადგენდა ერთერთ საერისთავოს მთავარ ქალაქს... ხდება სოხუმის სიმაგრის რეკონსტრუქცია და მშენებლობის ისეთი საარქიტექტურო ნაგებობა, როგორიცაა ბაგრატის ციხე-კოშკი, ბესლეთის ხიდი“.

ბიჭვინთა: ამაზე მოგვითხრობს 2-1 საუკ. არტემიდორე ეფესელი, სტრაბონი და ანტიკური ეპოქის მწერალი არიანე და სხ. აგრეთვე საშუალო საუკუნის ანონიმ-გეოგრაფი 5 საუკუნისა ზოსიმე, პროკოფი კესარიელი, თეოფანე ბიზანტი და სხ. ეს სახელწოდება ქართული წარმოშობისაა. ბიჭვინთა მოდის ქართულიდან „ფიჭვი“. როგორც ცნობილია, ბიჭვინთაში არის ფიჭვის ტყე, რაც ითვლება წმინდა ტყეთ. ძირი მისი ქართულია. „ფიჭვი“ = „ნთას“ დაბოლოებით. სიტყვა **Pityus, Pityunta** თარგმნილია ქართულიდან ბერძნულად. ნახეთ ქართული გეოგრაფიული სახელები კორინთა, გურიანთა და მისთანანი (გვ. 148-174).

(გაგრძელება იქნება)

**მინდია ლაშაური**

## საბჭოთა საქართველოში გამოცემულ ზოგიერთ წიგნთა გამო

(დასაწყისი იხ. 2-რე გვ.)

შორის მოსკოვში 1935 წ. მოგვყავს ნაწყვეტები:

— იეგოროვი: „გენერალო არ შეიძლება გაგრძელება, ჩვენი ერების ერთმანეთზე დაგეშვის და გადაკიდების კამპანიის. სახელმწიფოებრივი ფორმები იცვლებიან, ხოლო ერები კი რჩებიან“ . . .

— გენერალი კოსტრინგი: „ჩემი მოვალეობაც სწორედ ის არის, რომ ეს დამოკიდებულება ჩვენ ერებს შორის გამოვასწორო, მაგრამ თუ თქვენ ჰიტლერის წიგნს „ჩემი ბრძოლა“-ს წაიკითხავთ, მიხვდებით თუ რა ძნელია ამ მოვალეობის შესრულება“.

— იეგოროვი: (სიცილით უპასუხებს) „აქ ამ იაფ ფასიან ლიტერატურის ხსენება არც კი ღირს, იგი ჰიტლერმა გამწარებულ გუნებაზე დასწერა, როცა ლანდსბერგის სატუსაღოში ჰყავდათ ჩაკეტილი. ჩვენ ამ წიგნს სერიოზულად არ ვღებულობთ“. (იხ. “General Ernst Köstring” p. 85, Verlag E. S. Mittler and Sohn. Frankfurt/Main.)

მიუთუმეტეს, გაცილებით მოგვიანებით ქართველების, სხვა აღმოსავლეთელ ერთა წარმომადგენლების და მრავალ დაინტერესებულ პასუხისმგებელ გერმანელებისათვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ გერმანიისათვის ასეთ გადამწყვეტ მომენტში, და გერმანული ჯარის ასე მეგობრულად მიღების შემდეგ დაპყრობილ ტერიტორიებზე, რომ ჰიტლერი თავის აღმოსავლურ პოლიტიკას, ნაციონალ სოციალისტურ ბოდვებზე და ილუზიებზე დაამყარებდა და არა აღმოსავლეთ საკითხების სპეციალისტების რჩევაზე; რაციონალურ მოსაზრებაზე და რეალურ ანალიზზე. გერმანიას ასეთი სპეციალისტები და მრჩეველები მრავალი ჰყავდა, საგარეო საქმეთა სამინისტროში, სამხედრო უწყებაში და აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროში. ზოგი მათგანი ამავე დროს ძველი მეგობრები იყვნენ კავკასიელების და კერძოდ ქართველებისა. ისენი თავიდანვე ცდილობდნენ სასურველი გეზი მიეცათ გერმანული პოლიტიკისათვის აღმოსავლეთ ტერიტორიების მიმართ. ამ გერმანელთა და ქართველ ემიგრაციის წარმომადგენელთა შორის მჭიდრო კონტაქტი დამყარდა და მხოლოდ მათი მფარველობის ქვეშ იყო შესაძლებელი საქართველოს და ქართველების დასავალ სიძნელეებით სავსე გზაზე სიარული. ყველა ამ უწყებებს ინსტრუქციები ჰქონდათ ჰიტლერისაგან, რათა ემიგრანტებთან კავშირი არ დაეჭირათ და დასაწყისში ასეთი რამ მხოლოდ მისი ცოდნის გარეშე და არა ოფიციალურად ხდებოდა.

იმ დროს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა ქართველების ძველი მეგობარი, გრაფი ფრიდრიხ ფონ დერ შულენბურგი. ეს გამოცდილი დიპლომატი და კეთილშობილი ადამიანი, ძველი გერმანიის ერთ-ერთი საუკეთესო ოჯახის წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერების პრობლემებს ზედმიწევნით იცნობდა. იგი ჯერ კიდევ 1918 წ. გერმანიის წარმომადგენელი იყო დამოუკიდებელ საქართველოში და გენერალ ფონ ლოსოვთან და კრეს ფონ კრესენშტაინთან ერთად მოღვაწეობდა მის დასახმარებლად. მოგვიანებით იგი გერმანიის ელჩი იყო მოსკოში. გერმანია რუსეთის ომის დაწყების შემდეგ ის ცდილობდა რიბენტროპის საშუალებით გავლენა მოეხდინა ჰიტლერზე, რათა საგარეო საქმეთა სამინისტროს წამყვანი როლი ეთამაშნა აღმოსავლეთ დაპყრობილ ტერიტორიებზე, რაც ამ ერების დიპლომატიურ ცნობისათვის მომავალში მნიშვნელოვანი იქნებოდა. მან რიბენტროპის ხელით ჰიტლერს გეგმა წარუდგინა, რომლის მიხედვითაც 1) გერმანელებს უნდა გამოეცხადებინათ, რომ მათ არავითარი ტერიტორიალური ინტერესები საბჭოთა კავშირის მიმართ არა ჰქონდათ, 2) მოსახლეობას დაპყრობილ ტერიტორიებზე თავიდანვე ნება უნდა მისცემოდა ადგილობრივი მმართველობის არჩევისა, 3) გერმანიას უნდა ეცნო ეს ადგილობრივი მთავრობები, როგორც მოკავშირეები და მათთვის ხელი შეეწყო მათი გაერთიანებულ ანტისაბჭოთა მოქმედებისათვის, 4) ყველა ეროვნებებს თვით გამორკვევის უფლება უნდა მისცემოდათ და გერმანია დაეხმარებოდა თვით რუსეთსაც რათა მათ დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექმნად. 5) თუ ეს დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოები მომავალში ფედერაციის შექმნას გადაწყვეტავდნენ, გერმანიას ამისათვის ხელი არ უნდა შეეშალა.

(გაგრძელება იქნება)

**გივი გაბლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქსნის საერისთავო და მისი უკანასკნელი ერისთავები

(ისტორიული ნარკვევი)

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ № 87)

აკდ. ბროსე, რომელსაც ლარგვითის შესანიშნავი მონასტერი და ციხე დაუთვალიერებია და თავის „არქეოლოგიურ მოგზაურობაში“ აღუწერია, სხვათა შორის გვაუწყებს: „აქაური ბატონები ქსნის ერისთავები არიან, ამჟამად ეს არის ყველაზე სახელოვანი გვარი მთელ ქართლში. ესენი წარმოსდგებიან ქვენიფნეველებისაგან, რომლებიც 6-ხე საუკუნეში, იმპერატორ იუსტინიანეს დროს ოსეთით გადმოსულან“. ეს ცნობა უფრო ადრე და უფრო ვრცლად მოუწოდებიათ ცნობილ მეცნიერთ და მოგზაურთ; გულდენშტეტს და კლაპროტს. გულდენშტეტის შესახებ ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი, როდესაც ქსნის ერისთავ დავით მესამეს დამოკიდებულებაზე შევჩერდებით ამ მეცნიერთან, — ერეკლეს დასოლომონ მეფეს რომ იწვია. ეხლა კი გვინდა კლაპროტის ცნობები შემოკლებით მოვიყვანოთ. ცნობილი მეცნიერი და მოგზაური ქსნის საერისთავოში მოგზაურობაზე, სხვათა შორის, სწერს: „ქსნის მარცხენა მხარეს არის ოძისი, აქედან ერთ მილზე, ძეგლევს შემდეგ, შევედით ახალგორში, ამ ციხის ირგვლივ მაღალი ყორეებია ამართული. აქ იყო ქსნის ერისთავთა რეზიდენცია, რომლებიც უმაღლესის ღირსებით იყვნენ აღჭურვილნი და მათი ძალა და ღირსება გრძელდებოდა, ვიდრე რუსეთი საქართველოს ოკუპაციას მოახდენდა“.

მეტად საინტერესოა, რომ ცნობილი მეცნიერი და მოგზაური, რომელმაც საქართველო შემოიარა 1807-8 წწ. რუსულ ოფიციალურ ვერსიას „საქართველოს ნებაყოფლობით შეერთებას“ კი არ იმეორებს, არამედ კატეგორიულად აღიარებს: „საქართველოს ოკუპაციას რუსეთის მიერ 1801 წ.)

ერისთავთა წინაპრების შესახებ ავტორი განაგრძობს: „ქ ს ნ ი ს ერისთავები მოდიან ოსეთიდან, რ ო ს ტ ო მ ერისთავისაგან, რომელიც კეისარ იუსტინიანეს მიერ იყო აქ მთავრად დანიშნული. კეისარმა მას მიანიჭა ბეჭედი და მეფური ჩასაცმელი (ინვენტურა).

ერისთავებს ეკუთნოდა, 39 დასახლებული ადგილები (სოფლები). ქსნის უკანასკნელი ერისთავი დავითი (?) მოდიოდა როსტომის პირდაპირი შტოდან, რომელიც თითქმის თორმეტი საუკუნე შეუწყვეტლივ გრძელდებოდა. უკანასკნელი ერისთავი იყო რიცხვით 375-ტე.“

“შემდეგ გადავედით“, განაგრძობს კლაპროტი, „სოფ. ალევში, აქ ახლოს, მთის წვერზე, აღმართულია „წმ. სამების ტაძარი“. შიგ ვიპოვეთ მრავალი ხატები, ჯვრები და სხვა განძეულობა. ხატები წინად ოქრო ვერცხლით ყოფილა მოჭედილი, ეხლა კი ყველა ეს განძეულობა (ოქრო-ვერცხლი) აყრილი და ჩამოცლილია — მიტაცებულია ლეკების მიერ. წინად ამ საყდრის კარებიც ოქროთი ყოფილა მოსილი, რაც ლეკებს გაუტაცნიათ“ . . .

შევჩერდეთ ლარგვეთის შესანიშნავ მონასტრის ვინაობაზე.

ქსნის საერისთავოს ისტორიაში ლარგვეთის ციხე-მონასტერს დიდი როლი მიეწერება. ვახუშტის აზრით ის ძალიან ადრე უნდა იყოს აგებული, ხოლო მისი ძირითადი რესტავრაცია, როგორც ვთქვით, ჩვენი „ფარდის“ შემწირველის, ქეთევანის და მისი უფროსი ძის დავითის მიერ არის შესრულებული. ამის შესახებ დამატებით ცნობას ვპოულობთ ლარგვისის ტაძრის ერთი ხატის წარწერიდან (რასაც ქვევით მოვიყვანთ). ეხლა კი ორი სიტყვა დავით ერისთავზე. სამწუხაროდ, საკმაოდ გამორკვეული არ არის მისი ე რისთავობის წლები . . .

დავით მესამე, ძე ყულარაღას იესესი, მ. ბროსეს აზრით, ერისთავობდა 1751-1757 წ წ. ეს ცნობა, მარი ბროსეს, ქსნის ერისთავთა გენეოლოგიაში მოყვანილი აქვს, მაგრამ ის ჩვენის აზრით შეიცავს დავითის ერისთავობის ერთ პერიოდს. „ქართლ. ცხოვ-ში“ დავითი უკანასკნელად თუმცა „ქორონიკონს უმდ“ (1756) იხსენიებს, მაგრამ, ჩვენის აზრით დავითის ერისთავობა უ ფ რ ო ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო, რაც „ქ. ცხოვრებას“ აღარ აღუნიშნავს. ეს ირკვევა ლარგვისის მონასტრის ერთ-ერთ გუჯარიდან, რომელიც მოჰყავს პრ. ა. ხახანაშვილს და რომელიც ხელახლა ადასტურებს დავითის მიერ მოხდენილ, საფუძვლიან რესტავრაციას ლარგვისის ტაძრისას. ეს სიგელი დათარიღებულია 1761 წ. „ჩვენ, ერისთავმან დავით“, ვკითხულობთ აქ, ძემან იესემა მოგახსენეთ და წყალობა გიყავით თქვენ, ჩვენ სასუება ლარგვისის მონასტრის არქიმანდრიტს . . . შენს არქიმანდრიტობაში ხელვყავით მაგის ახლად აშენება და ახალი საძირკველიდამ ვიწყეთ და აღვაშენეთ და დიდი სარჯელი და მუშაობა გარდიხადე“.

არქიმანდრიტის დამსახურების გამო დავით ერისთავს ამ ტაძარში დასამარხი ადგილიც მიუჩენია მისთვის და ბოლოს დასძენს: „და სხვა წინამძღვარი ნურც ვინ იკადრებს და არც იქნება და ნურარც ვინ მოინდომებს, ნურც ვინ ჩვენნი შემდგომნი ერისთავნი და სხვ. ასე დავამტკიცეთ თვესა აგვისტოსა: ივ: ქორონიკონს ჩღჰია“.

აქედან აშკარად სჩანს, რომ დავით მესამის ერისთავობა უფრო ხანგრძლივი ყოფილა, ვიდრე ეს აღნიშნული აქვს მ. ბროსეს და შემდეგ ე. თაყაიშვილს.

შესაძლოა დავითმა 1761 წ. შემდეგ დაკარგა ერისთავობა, მაგრამ დროებით, რადგან 1770 წ. მეფე ერეკლეს მიერ მისდამი ბოძებულ სიგელში დავითი კვლავ ქსნის ერისთავად იხსენიება. ერეკლეს ბრძანება დათარიღებულია 4.9.1770 წ. და აქ მეფე ქსნის ერისთავს, დავითს აუწყებს, რომ ის სრულიად გამართლებულია იმ ბრალდებებისგან და ცილისწამებებისგან, რომელიც დავით ერისთავის წინააღმდეგ ახალ-გორის მოურავს არჯევანს ფიცხელაურს და მის ძმას რამინს წამოუყენებიათ. „ესენიო“, ბრძანებს მ ე ფ ე, „თქვენს ღალატზე ჰფიცავდნენ, რაიც თქვენ განგეზრახოთ (ან თითქოს ჩაგედინოთ) მამა ჩემის (მეფე თეიმურაზ 2-ს) წინააღმდეგ. არჯევან და რამინ მე სასამართლოში დავიბარე საქმის სარკვევად (დასაკითხად), ხოლო ისინი კი ორთავენი ცხენებს მოახტნენ და გაიქცნენო. აქედან მე დავასკვენ, რომ ორივე ძმები ცრუ დასმენას სჩადიოდნენ. ამის გამო სასამართლომ ძმები არჯევან და რამინ შენ მოგისაჯა თავისი ყმებით და მამულით და სადაც არ უნდა შეისწრო არჯევან ან მისი ძმა, შეგიძლიან ისინი მოითხოვო და დაატყევო.

თუ კი ამ შემთხვევისას ისინი სასამართლოს მოითხოვენ, შენ უნდა საქმე გაარჩიო და სიმართლე ნახო“.

აქედაან ირკვევა, რომ მეფეს 1770 წ. ქსნის ერისთავის, დავითის რეაბლიტაცია მოუხდენია და რომ ის კვლავ ერისთავობს.

მეორე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ერეკლე მეფეს ორივე ძმები არევანიძეები თვითონ დაუპატიმრებია და ვით დავით ერისთავისათვის მისჯილნი, მისთვის გადაუცია.

მეფე დიდხანს ყოფილა ახალ-გორის ძველ მოურავზე განრისხებული და ბოლოს გიორგი ბატონიშვილს შეურიგებია და დავით ერისთავის მიერ ჩამორთმეული ხმალი დაუბრუნებია.

დავით 3-ს 1772-1773 წლებშიც ერეკლესთან დაახლოვებულთა და ერთგულთა წრეში ვხედავთ და ის ძველებულად ქსნის ერისთავად ზის.

(გაგრძელება იქნება)

† აკაკი პაპავა

## ჩვენი ეროვნული მეობის დაცვისათვის

(გადაეცა რადიო „თავისუფლებას“ მიერ)

საქართველოს გასაბჭოების 50-თი წლის თავზე ჩვენ ხშირად გვისაუბრია თქვენთან. გაგაცანით დოკუმენტები, ინტერვიუები და სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებენ, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში წითელმა არმიამ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო. როგორც მოგეხსენებათ, ეს თარიღი დიდი ზეიმით ჩაატარეს საქართველოში. დღეს მე მინდა შევეხო ზოგიერთ მომენტს, რომელზედაც იყო ლაპარაკი გასაბჭოების დღესასწაულზე.

დიახ, დიდი ზეიმით იდღესასწაულეს წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენობის დაქცევის 50-თი წლის თავი. ზეიმის „გვირგვინი“ იყო სრულიად საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნოვის ჩამოსვლა, რომელმაც „გაახარა“ საქართველო და დიდი ხნიდან მივიწყებული და სტალინის განვგირგვინების შემდეგ „მკვდრეთით“ აღმდგარი ლენინის ორდენი ჩამოუტანა და საქართველოს „სუვერენობის“ გამომხატველი „სახელმწიფო“ დროშაზე თავისი ხელით მიაწება. მაგრამ ეს ორდენი თუ რა ფასად დაუჯდება ქართველ მშრომელ ადამიანს, მუშებს თუ კოლმეურნეებს, ეს ბრეჟნოვმა თავის სიტყვაში ა ღ ნ ი შ ნ ა: მ ე ტ ი პროდუქტიულობა დედა სამშობლოსო! „დედა-სამშობლო“ კი საბჭოთა კავშირია და სწორედ, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით, „საქართველოს განთავისუფლების“ ზ ე ი მ ი უფრო მოგაგონებდათ საბჭოთა კავშირის ზეიმს. აქ მეტი იყო ლაპარაკი საბჭოთა კავშირზე, ვიდრე საქართველოზე და ამ „ეროვნულ“ დღესასწაულზე ქართულად, ესეიგი იმ ენაზე არა ყოფილა ლაპარაკი, რომელიც საქართველოს სსრ კონსტიტუციით და ჯერ ლენინურ-სტალინურ და შემდეგ ლენინური ეროვნული პოლიტიკის მიხედვით გამოცხადებულია სახელმწიფო ენად.

საბჭოთა პროპაგანდამ, წინასწარ დიდი მუშაობა გასწია საქართველოს დაპყრობის 50-წლისთავთან დაკავშირებით. მან მობილიზაცია უყო მის ხელში არსებულ ყველაზე მძლავრ იარაღს: პრესას, რადიოს და ტელევიზიას. მობილიზაცია უყვეს აგრეთვე მთელ კულტურულ-მეცნიერულ ძალებს და ისინიც მმართველი პარტიის პროპაგანდის საქმეში ჩააყენეს. დიდი პროპაგანდული სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარის“ საიუბილეო ნომერში, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გიორგი ძოწენიძისა. ძოწენიძეს მოჰყავს სახალხო პოეტის, გალაქტიონ ტაბიძის მიერ 1916 წელს ნათქვამი სიტყვები: „ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები! განა არ არის საშინელი საცოდაობა, ისეთ ქვეყანას, როგორც ჩვენი საქართველოა, რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს . . .?“. ეს ოქტომბერზე არ უთქვამს პოეტს. იგი მიუძღვნა მან რუსეთის თებერვლის რევოლუციის მოახლოებას და ამ რევოლუციით მოელოდდა იგი საქართველოს თავისუფლებას.

„ახდაო პოეტის წინაგრძნობა. აჯანყებულმა პროლეტარებმა დაამსხვრიეს მონობის ბორკილი და თავისუფლების დროშა აafriალეს“-ო. თუ აქ რუსეთის პროლეტარზეა ლაპარაკი, რა შუაშია საქართველო? საქართველოს თავისი სავალი გზა ჰქონდა და აქვს, რუსეთის პროლეტარიატისაგან განსხვავებული. რადგან საქართველო რუსეთი არ არის, როგორც ამაზე, სხვათაშორის, თავის დროზე წერდა ფილიპე მახარაძე, ქართველი კომუნისტების მამამთავარი.

გ. ძოწენიძე სამართლიანად წერს: „ქართელ ხალხს კარგად ახსოვს თავისი მრავალტანჯული სამშობლოს ისტორია, რაც მას საშუალებას აძლევს ღირსეულად შეაფასოს, როგორც განვლილი გზა, ისე, განსაკუთრებით, თავისი აწმყო“.

როგორც საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის სტატიიდან ვგებულობთ, თურმე 1921 წლის თებერვალს ღამით დაწყებულა აჯანყება. ძოწენიძემ კარგად იცის, რომ ეს აჯანყება, თუ შეიძლება მას აჯანყება ეწოდოს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მოხდა სწორედ არა ქართულ რაიონში და აჯანყების მონაწილენი იყვნენ უცხო ტომის ელემენტები, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე თავი შემოფარებული აქვთ ჩვენს ქვეყანაში. საყოველთაო აჯანყებას რომ ჰქონოდა ადგილი, როგორ მოხდა, რომ 36 დღის განმავლობაში აჯანყებამ თავის მიზანს ვერ მიაღწია? დაუშვათ, რომ აჯანყებულებმა მიმართეს თხოვნით საბჭოთა რუსეთის მთავრობას დახმარებისათვის, ხოლო სად გაგონილა უცხო სახელმწიფოს მიერ მოხდენილი ინტერვენცია ჩაითვალოს რევოლუციად? ეს ხომ დაპყრობაა, რაც სამართლიანად აღნიშნა იგივე ფ. მახარაძემ, რომელმაც შემდეგი აცნობა მოსკოვში ლენინს: „ჩვენი შემოსვლა დაპყრობად გადაიქცა. ხალხი გადაგვიდგა, ძალები არ გვყავს, იძულებული ვართ ციხის კარები გავაღოთ, იქიდან კრიმინალები გამოვიყვანოთ და ადმინისტრაციაში ჩავაყენოთ. არც თბილისში, არც პროვინციაში, ერთი კომუჯრედი არ დაგვხვედრია“. — ეს სიტყვები ხომ საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთ დამსახურებულსა და მის იდეოლოგს ეკუთვნის. მე მგონი ფ. მახარეძეს ამ შემთხვევაში მეტი დაეჯერება.

შემდეგ, საბჭოთა პროპაგანდა წელებზე ფეხს იდგამს დაამტკიცოს, საქართველოს დამოუკიდებელი მონაწილეობა და მისი როლი მსოფლიო ბაზრის არენაზე. მართლაც ჩვენს წინ დევს ეკონომიური ქარტა. ჩვენ არც ერთ წუთს ეჭვი არ გვეპარება, რომ საბჭოთა საქართველოდან გააქვთ სხვადასხვა ნაწარმი ევროპისა და აზიის ქვეყნებში, ამერიკაშიც კი, მაგრამ ჩვენთვის, და თვენთვისაც ნათელია, რომ საქართველოს ნაწარმი მიდის საბჭოთა რუსეთის მეშვეობით და ამ ნაწარმიდან შემოსული თანხის მესაკუთრეა არა საქართველოს ეკონომიური სალარო, არამედ საბჭოთა კავშირი. როცა ამა თუ იმ ქვეყნიდან დამპყრობელ ქვეყანას გააქვს დაპყრობილი ქვეყნის ეროვნული დოვლათი და მის ღირებულებას ის ითვისებს, სოციალისტურია ის თუ ბურჟუაზიული, ამას თანამედროვე ენით ეწოდება კოლონიალიზმი. რაც ჩვენზე უფრო კარგად მოეხსენება ძოწენიძეს. საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამას სუვერენობის არც ერთი ატრიბუტი არ გააჩნია.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა პროპაგანდამ მთელი ჩვენი ერის კულტურული ძალები ჩააბა თავის სამსახურში. ამის უტყუარი ფაქტია თუ გინდათ ლექსი განსვენებულ პოეტ გ. ქუჩიშვილისა, რომელიც „ცისკარის“ საიუბილეო ნომერშია მოთავსებული. მოვიყვან ამ ლექსს მთლიანად:

საქართველო — აღსდგა მკვდრეთით!
გზა მიეცით! ჩამოდექით!
გმირთა-გმირი ამირანი
მოიმღერის გრგვინვა-ჰექით!
სანეტარო და ხსნის ხმები
ეფინება ზურმუხტ მდელოს
გაუმარჯოს ბორკილაყრილ
თავისუფალ საქართველოს!

ეს ლექსი პოეტმა გ. ქუჩიშვილმა დასწერა სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს და უძღვნა დამოუკიდებელ საქართველოს. თორე კარგად ცნობილია ქუჩიშვილის დამოკიდებულება საქართველოს გასაბჭოებასთან.

თქვენთან ერთად ჩვენც ვაჯამებთ, თქვენთვის „ბედნიერ“ და „ბორკილაყრილ“ საქართველოს; ჩვენთვის კი ბორკილგაყრილ საქართველოს 50 წლისთავს და გამოგვაქვს დასკვნა: 1921 წლის თებერვალ- მარტში საქართველოში ადგილი არ ჰქონია არავითარ საყოველთაო აჯანყებას. ეს წინასწარ ინსცენირებული იყო სერგო ორჯონიკიძის მიერ, რათქმა უნდა სტალინის ჩთაგონებით და „დიდი“ და „ბრძენი“ ლენინის ლოცვა-კურთხევით. აქედან გამომდინარე 1921 წლის თებერვალი და მისი საზეიმო 50-თი წლის თავი არ არის ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაული, არამედ იგი საქართველოს დაპყრობის თარიღია, მისი სახელმწიფოებრივი სუვერენობის დანგრევისა. საქართველოს სსრ კონსტიტუციაში აღიარებული სიტყვები: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას აქვს უფლება უშუალოდ შევიდეს უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში, დადვას ხელშეკრულებანი, მოახდინოს გაცვლა-გამოცვლა სრულუფლებიანი და საკონსულო წარმომადგენლებისა“, — არის მხოლოდ ფიქცია. საქართველო ამოვარდნილია საერთაშორისო სამართლის სფეროდან. ჩვენ ეს გადაცემა გვინდა დავამთავროთ ისევ გ. ძოწენიძის შემდეგი სიტყვებით: „საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი გმირულად იცავდა თავის დამოუკიდებლობას, რომ შეენარჩუნებია ეროვნული სახე“-ო.

დიახ! ეს საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხის გმირული წარსული, საწინდარია მისი მომავალი აღორძინებისა. მისი ეროვნული მეობის დუღაბად გადაქცევისა, ამ მეობის ძლევამოსილებისა და მარადიულობისა.

არგენტინიდან იტყობინებიან, რომ გარდაიცვალა

## დავით ლოლობერიძე

განსვენებული იმ ქართულ პლეადას ეკუთნოდა, რომელმაც გაბედულათ დააყენა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და რომლისაგანაც, შემდეგში წარმოიშვა საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია. ის იყო ენერგიული და გამოჩენილი წევრი ამ მოძრაობის და ღრმად მოხუცებულს, სიკვდილამდე არ დაუკარგავს სამშობლოს მარადიულობის რწმენა.

„ქართული აზრის“ რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს მის პარტიულ მეგობრებს.

უდიდესი მადლობის ღირსია ბ-ნი ალ. ჭეიშვილის ოჯახი, რომელმაც „უპატრონო“ მიცვალებული გააპატიოსნა და ქართველი მამულიშვილი, ქ ა რ თ უ ლ ი წესით მიაბარა უცხო მიწას.

**G. A. Press**

**ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.**

**საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:**

**Mr. G. Djakeli**

***535 E. 78 Street,***
***New York, N. Y. 10021***

**ამავე მისამართიდ უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.**

***EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.***
***EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, Dr. G. Gabliani.***
149 Avenue A
New York, N. Y. 10009
**Tel.: 473 - 0240**